ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0162, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sanpu.edu.ge

№_____ 20 11 2014 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება № 02-02/444

2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაგეგმვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის", ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს საოქმო დადგენილების (ოქმი №8, 17.11.2014) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2014 - 2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი განისაზღვროს 22 კვირით (15 კვირა - სააუდიტორიო მუშაობისთვის, 4 კვირა - შუალედური გამოცდებისთვის, 3 კვირა - დასკვნითი და დამატებითი გამოცდებისთვის);
2. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვროს 2015 წლის 16-დან 28 თებერვლამდე;
3. სააუდიტორიო მეცადინეობები დაიწყოს 2015 წლის 2 მარტიდან და გაგრძელდეს 13 ივლისამდე;
4. სააღდგომო არდადეგების პერიოდი განისაზღვროს 2015 წლის 9-დან 14 აპრილამდე;
5. შუალედური გამოცდებისათვის (ყველა სასწავლო დისციპლინაში) დადგინდეს შემდეგი ვადები:
   5.1. პირველი შუალედური გამოცდა ჩატარდეს სემესტრის მე-8 და მე-9 კვირებში (2015 წლის 20 აპრილი - 3 მაისი);
   5.2. მეორე შუალედური გამოცდა ჩატარდეს სემესტრის მე-15 და მე-16 კვირებში (2015 წლის 8 - 21 ივნისი);

6. 2014 – 2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ჩატარდეს მე-20 - 22-ე კვირებში (2015 წლის 13 ივლისი - 5 აგვისტო);

   6.1. დასკვნითი გამოცდები დასრულდეს 2015 წლის 25 ივლისს;

   6.2. დამატებითი გამოცდები, კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, ჩატარდეს 2015 წლის 24 ივლისიდან 5 აგვისტოს ჩათვლით;

7. საზაფხულო არდადეგების პერიოდი განისაზღვროს 2015 წლის 6 აგვისტოდან 14 სექტემბრამდე;

8. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაეკისროს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა (ბ-ნი ნოდარ პავლიაშვილი) და სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურებს (ქ-ნი ეკა ლუაშვილი);

9. ბრძანება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს, ენების ცენტრს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

10. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე